DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სარჩევი

დაგეგმილი ღონისძიებები	2
ჩატარებული ღონისძიებები	7
წევრთა სიახლეები	10
წევრთა შეთავაზებები	12

თქვენი საიმედო პარტნიორი

თვალყური ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელს და შემოგვიერთდით ფეისბუქსა და ლინკდინზე!

ოფიციალური წარმომადგენლობა

messe frankfurt

SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

FRUIT LOGISTICA

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ვატო კასრაძე
vato.kasradze@dwv.ge

თანამშრომლობა

GTAI GERMANY TRADE & INVEST

DIHK Deutscher Industrie- und Handelskammertag

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge

HiPP
Das Beste aus der Natur.
Das Beste für die Natur.

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

2023 წლის 7 ნოემბერს გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და საკონსულტაციო კომპანია "ჯეპრა" გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე: "**რისკების კომუნიკაცია".**

თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში, ინფორმაციის წყაროების რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის ფონზე, იზრდება საკომუნიკაციო რისკები ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისა თუ კომპანიისთვის. საკომუნიკაციო კრიზისის წარმოშობა შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული და საბოლოოდ საინფორმაციო სივრცეში შექმნილმა პრობლემამ არა მხოლოდ რეპუტაციული, არამედ უფრო მასშტაბური პრობლემები შეუქმნას კომპანიას როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამიტომ საჭიროა რისკების კომუნიკაციის და კრიზისების პრევენციის მექანიზმების შექმნა და გამოყენება ბიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის.

ტრენინგის მიზანია საკომუნიკაციო რისკების იდენტიფიკაციისა და მართვის ტექნოლოგიების სწავლება, კომპანიების რეპუტაციული და ოპერაციული ზიანის თავიდან აცილების მექანიზმის შემუშავებისთვის.

სამიზნე აუდიტორია: კომპანიების ტოპმენეჯერები და კომუნიკაციის სპეციალისტები.

ტრენინგს გაუძღვება: კახა მაღრაძე, "ჯეპრას" პარტნიორი და უფროსი კონსულტანტი.

სამუშაო ენა: ქართული.
თარიღი და დრო: 7 ნოემბერი, 2023; 14:00-18:00 სთ.
ადგილი: სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსი, 37მ ჭავჭავაძის გამზ.
ტრენინგის საფასური: გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) წევრებისთვის 200 ლარი, სხვა შემთხვევაში - 250 ლარი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ გაიცემა **სერტიფიკატები**.
გთხოვთ, 2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-ტრენინგი

ა.წ. 8 ნოემბერს გიწვევთ DWV-სა და BPN Georgia-ს ერთობლივ ვებინარზე: “გონივრული სოციალური მედია კამპანიით ახალი მომხმარებლის მოძიება და დარწმუნება”.

მიზანმიმართული სოციალური მედია მარკეტინგი ციფრულ სამყაროში უდავოდ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად ითვლება კომპანიის საჯარო საქმიანობებს შორის. ეფექტური სოციალური მედია კამპანიის წარმოება, რომელიც მოწონებას დაიმსახურებს და პოზიტიურ შედეგს მოიტანს, მედიების გადაჭარბებული მოხმარების პირობებში არც ისე მარტივია.

ვებინარზე ლუკას მიორგელინი საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას გაგიზიარებთ სოციალური მედია კამპანიების დაგეგმვის და განხორციელების მიმართულებით. მისი მომხმარებლების სიაში შეხვდებით ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა: Subway, Burger King, Doby (შვეიცარიის უდიდესი ესთეტიკის მაღაზიათა ქსელი) და სხვა ტოპ ბრენდები. იგი გაგიზიარებთ კონკრეტულ რჩევებს, თუ როგორ უნდა მიაწვდინოთ ხმა ეფექტურად თქვენს სამიზნე ჯგუფს სოციალური მედია კამპანიებით ფეისბუქზე, ინსტაგრამზე, ტიკტოკზე და ა.შ. ვებინარზე მიიღებთ, ასევე, კომპაქტურ ინფორმაციას სოციალური მედია კამპანიების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების შესახებ.

რეფერენტი: ლუკას მიორგელინი – შვეიცარიული პიარ სააგენტოს «Brand Affairs» ექაუნთ მენეჯერი, დაამთავრა მენეჯმენტის მაგისტრატურა შოტლანდიის წმინდა ანდრიას სახელობის უნივერსიტეტში. ის კონსულტაციას უწევს მარკეტინგის, საზოგადოებრივი ურთიერთობების და სოციალური მედიების მიმართულებით.

სამუშაო ენა: გერმანული, ქართული თანმიმდევრული თარგმანით.
თარიღი და დრო: 8 ნოემბერი; 19:00-22:00 სთ.
ფორმატი: ზუმი.
ფასი: 50ლ ყველა მონაწილისთვის.
გთხოვთ, 6 ნოემბრის ჩათვლით დარეგისტრირდეთ ბმულზე.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-Get Together

TBILISI PHILHARMONIC
BY MERCURE

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გიწვევთ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მორიგ “Get Together” ღონისძიებაზე:

ოთხშაბათს, **15 ნოემბერს, 18:00 საათიდან სასტუმროში *Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel*.**

მისამართი: 10 პეტრე მელიქიშვილის ქ., 0179 თბილისი.

Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel, განსაცვიფრებელი ახალი ნაგებობა ქალაქის ცენტრში, ოთხვარსკვლავიანი სასტუმროა, რომელიც Accor Hotels-ის საერთაშორისოდ ცნობილი სასტუმრო Mercure ბრენდის ნაწილია. ახლად გახსნილი სასტუმრო მოხარულია, უმასპინძლოს ჩვენს მომდევნო ღონისძიებას.

დატკბით სასტუმროს რესტორან MUSE-ის დახვეწილი ატმოსფეროთი, ისიამოვნეთ Mercure-ის ბრენდის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნილი საფირმო კოქტეილით, შეფ არტურის მიერ მომზადებული ფურშეტითა და, რა თქმა უნდა, ისიამოვნეთ ნეთვორქინგით.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!

თქვენი DWV.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-ტრენინგი



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და სურსათის უვნებლობის ექსპერტი, ეკატერინე ბურკაძე, გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე: **„სურსათის უვნებლობა - ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები".**

კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა სურსათის უვნებლობისა და მომხმარებლის დაცულობის უზრუნველსაყოფად. ტრენინგის ფარგლებში, განხილული იქნება კარგი წარმოებისა და ჰიგიენის პრაქტიკა (GMP&GHP), სურსათის უვნებლობის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, ტემპერატურული რეჟიმები, პერსონალის პირადი ჰიგიენა და ქცევის წესები, სურსათის საფრთხეები და საფთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა HACCP, საერთაშორისო სტანდარტები.

მიზნობრივი აუდიტორია: სურსათის მწარმოებლები, კვების ობიექტები, რესტორნები, სავაჭრო ქსელები და სხვა დაინტერესებული პირები.

ტრენინგს გაუძღვება მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სურსათის უვნებლობის ექსპერტი, **ქ-ნი ეკატერინე ბურკაძე,** რომელიც თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან, სურსათის საწარმოების შეფასების, სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის სისტემების შემუშავების და დანერგვის, პერსონალის შესაბამისი გადამზადების საკითხებში.

თარიღი და დრო: 17.11.2023; 13:00-19:00 სთ.
ადგილი: სასტუმრო Golden Tulip Design Tbilisi, 37 ქეთევან წამებულის გამზირი.
ტრენინგის საფასური: DWV-ს წევრებისთვის - 230 ლარი, სხვა შემთხვევაში - 280 ლარი.
ტრენინგი ჩატარდება **ქართულ ენაზე.**

მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, 14 ნოემბრის შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

START. UP! GERMANY TOUR 2024

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება იწვევს ქართულ სტარტაპებს START. UP! GERMANY TOUR 2024-ში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამა და კონკურსი განკუთვნილია ყველა დაინტერესებული სტარტაპისთვის, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს (იხ. ბმული).

პროგრამა/კონკურსი იწვევს ქვემოთ მოცემული მიმართულებებით დაკავებულ სტარტაპებს:

- Green Tech (მწვანე ტექნოლოგიები)
- Industrial Solutions (სამრეწველო გადაწყვეტილებები)
- Life Science (ბიო-ტექნოლოგია)

კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გთხოვთ, გადახვიდეთ სარეგისტრაციო ფორმაზე და გამოგვიგზავნოთ თქვენი განაცხადი 16 ნოემბრის ჩათვლით.

START. UP! GERMANY TOUR 2024-ი შედგება 3 ძირითადი კომპონენტისაგან, შესარჩევი ეტაპი, საერთაშორისო კონკურსი და მთავარი პროგრამა.

1. შესარჩევი ეტაპი (16 ოქტომბერი – 25 ნოემბერი).
2. საერთაშორისო კონკურსი (19 თებერვალი – 1 მარტი).
3. მთავარი პროგრამა (7 – 9 აპრილი; 16 აპრილი).

შესარჩევის შედეგად გადარჩეული 5 ქართული სტარტაპი წარდგენილი იქნება მთავარ პროგრამაში, START. UP! GERMANY TOUR 2024- ში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართება გერმანიაში.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით ვატო კასრაძეს (vato.kasradze@dwv.ge).

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

„Bayern – Fit for Partnership (BFP)“

2023 წლის 23-27 ოქტომბერს, ბავარიის ეკონომიკის სამინისტროს პროექტის “Bayern – Fit for Partnership (BFP)“ ფარგლებში, კვლავ განხორციელდა დელეგაციის ვიზიტი ბავარიაში.

წლევანდელი პროექტის თემა გახლდათ „სამედიცინო ტექნიკა და აღჭურვილობა“ . ქართული სამედიცინო სექტორის 12 წარმომადგენელს შესაძლებლობა მიეცა, ხუთდღიანი პროგრამით, გაცნობოდა წამყვან ბავარიულ კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ თანამედროვე, ინოვაციურ სამედიცინო ტექნიკას და აღჭურვილობას. კომპანიებს შორის გაიმართა შეხვედრები B2B-ფორმატში, რითიც საფუძველი ჩაეყარა ბილატერალურ ბიზნეს ურთიერთობებს.

ღონისძიება ჩატარდა Bayern International-ის მხარდაჭერით და DEGA-EXPOTEAM GmbH & Co.-ს და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) თანამშრომლობით.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-Get Together

ჩვენი ტრადიციული ღონისძიება "Get Together" 18 ოქტომბერს სასტუმროში ***"Golden Tulip Design Tbilisi"*** გავმართეთ.

მოუთმენლად გელით ჩვენს მომდევნო შეხვედრაზე!

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

2023 წლის 17-18 ოქტომბერს, სასტუმროში "პულმან თბილისი აქსის თაუერსი" ჩატარდა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებისა (DWV) და BDO Academy-ს ერთობლივი ორ დღიანი ტრენინგი თემაზე: **"სახელმწიფო შესყიდვები".**

სახელმწიფო შესყიდვა, იგივე საჯარო შესყიდვა, არის პროცესი, რომელიც გულისხმობს საჯარო დაწესებულებების მიერ საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას სპეციალური პროცედურების გამოყენებით.

სასწავლო სემინარის მიზანი იყო, რომ ტრენინგის მონაწილეებს შეისწავლათ სახელმწიფო შესყიდვების პრინციპები, ტენდერების სახეები, პროცედურები, დავების განხილვის სპეციფიკა და გაეღრმავებინათ ცოდნა სახელმწიფო შესყიდვებში.

სწავლების მეთოდოლოგია: თეორიულ მასალასთან ერთად, განხილული იქნა პრაქტიკული მაგალითები, რომლებშიც მონაწილეები აქტიურად ჩაერთვნენ.

ტრენერი: გელა ივანიძე, BDO Legal-ის უფროსი იურისტი, შპს ბიდიო ლეგალში მუშაობის 9 წლიანი გამოცდილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო სამართლის მაგისტრი.

ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ DWV-ს წევრი და არაწევრი კომპანიების წარმომადგენლები, მათ შორის: შპს ჯორჯიან ექსპრესი, შპს ჰიდროდიაგნოსტიკა, შპს უნიმედი, შპს 4 ჰოსპიტალს, სსიპ აწარმოე საქართველოში, შპს ორიენტ ლოჯიკი, შპს ჰაი-ტექ სოლუშენსი.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

პროკრედიტ ბანკი და სასტუმრო ბილტმორ თბილისი კორპორაციული მდგრადობის კონკურსის გამარჯვებულები არიან!

პროკრეტიდბანკმა მსხვილი ბიზნესის კატეგორიაში, ნომინაციაში SDG-7 - ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია, გამარჯვება ელექტრომობილების ავტო-პარკის და დამტენების ინფრასტრუქ-ტურის განვითარების პროექტით მოიპოვა.

კონკურსი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის UN Global Compact Network Georgia ინიციატივით და შვედეთის მთავრობისა და USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა.

პროკრედიტ ბანკი იზიარებს იმ პრინცი-პებსა და ღირებულებებს, რომლებზეც გაე-როს გლობალური შეთანშეთანხმება დგას, ნერგავს და წარმატებით ახორციელებს მათ და ქმნის გაზომვად სარგებელს.

THE BILTMORE
TBILISI

სასტუმრო ბილტმორ თბილისი
გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის
კორპორაციული მდგრადობის კონკურსის გამარჯვებულია

სასტუმრო ბილტმორ თბილისის გუნდს ჯილდო გადაეცა პროექტისთვის „სამუშაო ძალის გაძლიერება, ზრდის ხელშეწყობა“, ნომინაციაში “ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა„ (SDG8).

პროექტში აისახა ის მრავალფეროვანი საქმიანობა და აქტივობები, რომლებსაც კომპანია წლების განმავლობაში ახორციელებდა, როგორც არსებული სამუშაო სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით, ასევე ეკონომიკური ზრდის მიმართულებით.

29 Rustaveli Avenue, 0108, Tbilisi, Georgia
T: +995 322 72 72 72 / info.bhtg@biltmorecollection.com

GOLDEN TULIP
DESIGN TBILISI

GOLDEN TULIP DESIGN TBILISI მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების WORLD TRAVEL AWARDS-ის გამარჯვებული გახდა

საერთაშორისო ქსელის სასტუმრომ Golden Tulip Design Tbilisi ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილი World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა და საქართველოს „საუკეთესო დიზაინ სასტუმროს" სტატუსი მიიღო. World Travel Awards-ი წელს 30-ედ ჩატარდა და ამჯერად, საზეიმო დაჯილდოებას ბათუმმა უმასპინძლა.

World Travel Awards-ი 1993 წლიდან იმართება. დაჯილდოებაზე მონაწილეობას იღებს ათასობით ნომინანტი, რომლებიც კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიებში არიან გადანაწილებულნი. მათ შორისაა წამყვანი სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ტურისტული ატრაქციები და მიმართულებები.

„ჩვენთვის დიდი პატივია, ვიყოთ მსოფლიო ტურიზმის ყველაზე პრესტიჟული დაჯილდოების გამარჯვებული. ეს ჯილდო არის აღიარება ჩვენი გუნდის სწორი ხედვის და თავდაუზოგავი მუშაობის. ეს გამარჯვება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩვენ შევქმენით საოცარი სივრცე თანამედროვე დიზაინით, სადაც თითოეული სტუმარი თავს განსაკუთრებულად გრძნობს. ცოტა ხნის წინ 1 წლის იუბილე აღვნიშნეთ. უზომოდ გვიხარია, რომ ამ მოკლე პერიოდში შევძელით სტუმარმასპინძლობის სექტორში გამორჩეული ადგილის დაკავება" - აცხადებს სასტუმროს გენერალური მენეჯერი ელენე ოთარაშვილი.

Golden Tulip Design Tbilisi მსოფლიოს წამყვანი მულტიბრენდული სტუმარმასპინძლობის ჯგუფის - Louvre Hotels-ის სტრატეგიული ბრენდია, რომელიც ინდუსტრიაში ახალი ინოვაციური მიდგომების დანერგვაზეა ორიენტირებული. ამჟამად ეს მზარდი ჯგუფი 54 ქვეყანაში 1 600 სასტუმროს მართავს.

სასტუმროში 77 თანამედროვე დიზაინის ოთახია და მოიცავს ყველაფერს, რაც კომფორტული დასვენებისთვისაა საჭირო. სასტუმროს თითოეული ნომერი ქართველი არტისტების მიერ ხელით შექმნილი ნამუშევრებითაა გაფორმებული, რომლებიც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფრაგმენტებს გადმოგვცემს. სასტუმრო აერთიანებს რესტორანს, ტერასას და ორ საკონფერენციო სივრცეს.

გამორჩეული არქიტექტურის მქონე შენობიდან არაჩვეულებრივი ხედი იშლება მტკვარზე და დედაქალაქის ისტორიულ ნაწილზე. სასტუმროს დიზაინზე „ნოა სტუდიომ" ცნობილი პორტუგალიელი დიზაინერის ცეზარ რიბეიროს ხელმძღვანელობით იმუშავა. მოდერნისტული შენობის ექსტერიერიც და ინტერიერიც გეომეტრიული ფორმებით ერთგვარი თამაშია. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ დიზაინერული, Iconic ავეჯი, რომელიც საზღვარგარეთ დამზადდა. სასტუმრო მთლიანად ეკო-მეგობრული და ენერგოეფექტური მასალებითაა აშენებული და ე.წ. მწვანე შენობის სტატუსს ატარებს.

პროექტი საინვესტიციო კომპანია Block Group-მა განახორციელა, რომელსაც საქართველოს ბაზარზე ოპერირების 28 წლიანი ისტორია აქვს.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

საკვირაო ბრანჩი

იტალიური შტრიხებით

ცოცხალი მუსიკა, ბავშვების ანიმატორი და
იტალიური კერძების ფართო არჩევანი

ყოველ კვირას
13:00 საათიდან 23:00 საათამდე

ბავშვები - 5 წლამდე უფასო | 6-12 წლის - 50% ფასდაკლება

ფასები მოცემულია დღგ-ს გარეშე

The Biltmore Tbilisi Hotel - Sonnet Bar and Restaurant | +995 322 72 7 27 2 / Info.bhtg@biltmorecollection.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

GOLDEN TULIP

DESIGN TBILISI

Book your corporate celebration at Golden Tulip Design Tbilisi before November 15 and enjoy an exclusive 10% discount.

Elevate your festivities with our exquisite ambience, culinary delights, and personalized service. Don't miss out – reserve your spot today!





37 Ketevan Tsamebuli Avenue, Tbilisi 0103

+995 (322) 157 157

info@goldentulipdesigntbilisi.com

design-tbilisi.goldentulip.com